№ 265 დეკემბერი 13, კვირა 1892 დეკემბერი 13, კვირა № 265

გაზეთი ღირს

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892

„ივერია"

გამოვა 1893 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1893 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ".

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის ხვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

„კვალი"

ნახატებიანი ახალი ჟურნალი

(დამატება „ჯეჯილისა")

გამოვა 1893 წლიდგან ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდან სამ თაბახამდის.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში არწრუნისეულ ქარვასლის ქართულ სახალხო სამკითხველოში. ქალაქს გარეშე ხელის მომწერთა შეუძლიანთ მიიქცენ „ჯეჯილის" რედაქციაში ამ ჟურნალის დასაბარებლათ.

წლიურად ეღირება გაუგზავნელად 7 მან., ხოლო გაგზავნით 8 მან.

ვინც „ჯეჯილსა" და «კვალს» ერთად დაიბარებს, იმათთვის წლიურად ეღირება გაუგზავნელად 10 მან., ხოლო გაგზავნით 12 მან.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ-წერეთლისა

ქართული თეატრი

კვირას, 13 დეკემბერს,

არტისტის კ. დ. ყიფიანის მონაწილეობით, ქართულ დრამატ. საზოგად. არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება

I

მესამე მოქმედება ისტორ. დრამისა

ბაგრატ IV

II

ზოგი ჭირი მარგებელია

კომედია 3 მოქმედ., გადმოკეთ. გ—საგან

III

დივერტისმენტი

ბ-ნნი აბაშიძე და გედევანოვი შეასრულებენ კომიკურ კუპლეტებს.

ბ-ნნი ნებიერიძე და ადამიძე წაიკითხავენ გლეხურ და იმერულ სცენებს.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ

მზადდება წარმოსადგენად „მოღალატე", დრამა 5 მოქ. ვალ. გუნიასი, „საზოგადო საქმე", კომედია თავ. დ. ერისთავისა.

შემდეგი წარმოდგენა დანიშნულია ვალ. გუნიას **ბენეფისად**.

ადმინისტრატორი ვალ. გუნია.

მთავრობის ნება-დართვით, ტფილისში დანიშნულია საგანგებო კრება საგუბერნიო თავად-აზნაურობისა კახეთის რკინის გზის გაყვანის საქმის განსახილველად.—კრებაზე დასწრების და კენჭის მიცემის უფლება აქვს ყველა იმ თავად-აზნაურს, რომლის გვარეულობაც ისეთია, როგორც თხოულობს 1876 წლის კანონი, მეცხრე ტომის მე-96 მუხლი.

კრებაზე შეუძლიანთ დაესწრნენ, ხოლო ხმა არ ექნებათ, ის თავად-აზნაურნიც, რომელთაც არა აქვსთ ჩინი, არც უმსახურნიათ იმისთანა სამსახურში, საცა კენჭით ირჩევენ თანამდებობის კაცთ, და რომელთაც არავითარიმე უძრავი მამული არა აქვთ (99-ს მუხლი მეცხრე ტომისა).

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთ წინამძღოლი აუწყებს ამას თავად-აზნაურობასა და სთხოვს, მობრძანდნენ ოცს ამა დეკემბერს, დილის თერთმეტს საათზედ, ტფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის სადგურში, ზემოხსენებულ კრებაზედ დასასწრებლად.

(3—3)

ტფილისი, 12 დეკემბერი

„ივერიის" მე-261 №-ში ჩვენა გვქონდა მოხსენებული ერთი ფრიად საყურადღებო ამბავი. სახელმწიფო ქონებათა მინისტრის განკარგულებით ტფილისში დაარსდება ამ მოკლე ხანში ბ-ნ მედვედიევის თავმჯდომარეობით განსაკუთრებული კომისია, რომელსაც დავალებული აქვს განაკარგოს სახელმწიფო გლეხთა მდგომარეობა. ახლად დაარსებულ კომისიაში მონაწილეობას მიიღებენ წარმომადგენელნი სხვა-და სხვა უწყებისა. კომისიის გარდაწყვეტილება წარედგინება თავის დროზედ ბ-ნ მინისტრს და შემდეგ —თვით სახელმწიფო საბჭოს დასამტკიცებლად. ამ სახით, კავკასიის სახაზინო გლეხთა მდგომარეობა ამ მოკლე ხანში სრულიად და სამუდამოდ შეიცვლება, მამულის მეტ-ნაკლებობა გლეხთა შორის გასწორდება; ვისაც მცირე მამული აქვს, მიემატება, ან თვითოეულ კომლს, ცალ-ცალკე, ან სამამასახლისოებს დაურიგდება მიწა ნაჭრობით საერთო სასარგებლოდ; მიუზომენ აგრედვე საძოვარს, გადუკვეთენ საწვავ შეშას და სხვა. ერთის სიტყვით, კომისია ყოველ ღონისძიებას მოიხმარს, რომ კეთილად მოაწყოს სახაზინო გლეხის მდგომარეობა და, რაც აკლია, შეუსრულოს თავისუფალ სახელმწიფო ადგილების მიზომვით.

კავკასიაში სულ ითვლება სახაზინო გლეხი, მცხოვრები სახელმწიფო მამულზე, ორას ოც-და-თექვსმეტი ათასი კომლი (236,000), ხოლო კერძო მემამულეთა ადგილზედ—ოთხმოც-და-ხუთი ათასი კომლი (85,000). მომეტებული ნაწილი დასახელებულ გლეხთა მუსულმანობა და სომხობაა, ხოლო მცირედი—ქართველობა. მუსულმანობა და სომხობა სხვა-და-სხვა დროს შემოეხიზნა ჩვენს ქვეყანას, მაგალითებრ, ახალციხისა და ახალქალაქის სომხობა გადმოვიდა აზრუმიდამ 1828—1830 წლებში, როდესაც მთავარ-მართებელმა პასკევიჩმა ოსმალოს წაართვა მესხეთი და ჯავახეთი. იქაურნი მკვიდრნი, გამაჰმადიანებული ქართველობა და მათნი ბეგნი: წერეთლები, აბაშიძენი, ავალიშვილნი, ფალავანდიშვილნი და სხვანი,—ვერ შეურიგდნენ მთავარ - მმართებლის სასტიკ მართვა-გამგეობას და გადიხვეწნენ საოსმალოში. უპატრონოდ დარჩენილ ადგილ-მამულზედ პასკევიჩმა დაასახლა აზრუმიდამ მოწვეული სომხობა, რომელმაც, სხვათა შორის, თითქმის მუქთად შეისყიდა ბეგებისაგან მათი მამულ-დედული *).

მთავრობა მუდმივს ზრუნვაში იყო, რომ კარგად მოეწყო სახელმწიფო გლეხის მდგომარეობა. ჯერ ისევ ორმოციან წლებში განიზრახა, განჯა-ერევნის გუბერნიის ბეგებისთვის ჩამოერთმია მამული და გლეხებისთვის მიეცა (პროექტი ბარონ განისა), რადგან სამუსულმანოში ვითომ საკუთრება არ ყოფილიყოს და, რაც მამულია სახელმწიფოში, ჰკუთნებოდეს ფადი-შაჰს, მაშასადამე, რუსეთის მთავრობას ნება ჰქონდეს წინანდელ ხანების ჩამორთმეულს მამულს ისე უცქიროს, როგორც თავის საკუთრებას და ისე მოიხმაროს, როგორც მისი სურვილია. ასეთი განზრახვა უარ - ჰყო თ. ვორონცოვმა საპოლიტიკო მოსაზრების ძალით. ბეგებისა და აღალარებისთვის რომ ჩამოერთმიათ მამული, უმამულო ბეგობა მიეცემოდა მოუსვენარ ცხოვრებას და ადგილობრივ მთავრობას დიდად გაუჭირებდა საქმეს. მაგრამ მთავრობის წინანდელი განზრახვა სრულებით არ გამქრალა და 1870 წელს ხელმეორედ შეუდგა სახელმწიფო გლეხთა ბედის განკარგებას. ამ წელს გამოცემულ კანონის ძალით (1870 წლის 14 მაისის დებულება), სახელმწიფო გლეხს მიეცა სულზე ხუთი დესეტინა, ანუ ათი დღიური ნადელად. იმ მებატონეთ, რომელთაც ნება არა ჰქონდათ ეუფლათ გლეხებზე, მთლად სული ამოჰხდათ. მთელი იმათი მამული ნადელად დაურიგდათ და საცა, არ იკმარა, ჩივტლიკებსაც *) ურიგებდნენ, რადგან სრული, კანონიერი ნადელი არ ერგოთ გლეხებს. ამ სახით, „უსტავნი გრამატების" შედგენა დასრულდა დაახლოვებით 1878 წლისათვის.

ხუთი-ექვსის წლის შემდეგ სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ ხელ-ახლად განიზრახა სახელმწიფო გლეხთა მდგომარეობის შესწავლა. 1884, 1885 და 1886 წლის დამდეგს მრავალი მოხელენი დაჰგზავნა კავკასიის სხვა-და-სხვა მხარეს და დაავალა, გამოარკვიეთ მათი ვითარებაო. შეკრებილ ცნობათა გამოყენებას, როგორც ჰხედამს მკითხველი, ეხლა შეუდგა მთავრობა. ეს აუცილებელი საჭიროებაც იყო, რადგან 1870—1878 წწ. ყველა გლეხი ერთნაირად ვერ იქმნა დაკმაყოფილებული: ზოგს ბევრი ერგო, ზოგს ცოტა; ვინც კიდევ კამერალიაში არ მოჰყვა, სულ უმამულოდ დარჩა; საძოვრის საქმე წესიერად ვერ მოეწყო. ერთის სიტყვით, უსწორ-მასწორობა დღეს იქმნება გასწორებული და უფრო მომეტებული სამართლიანობა ჩამოვარდება გლეხების მიერ სახნავ-სათესის ხმარებაში. ამ საქმის დასრულების შემდეგ მთავრობას განზრახვა აქვს, შემოიღოს სამამულო გადასახადი; ხარჯი გარდაახდევინოს იმის კვალობაზედ, ვის რა მამული უჭირავს და რა ხარჯის გატანა შეუძლიან; ეხლანდელ საკომლო გადასახადის მაგიერ, ასეთი გადასახადია განზრახული.

ესე ყოველივე კარგია და სასიამოვნო; რაც მალე განწესიერდება მხვნელ-მთესველის მდგომარეობა, მით უფრო სასარგებლოა თვით სახელმწიფოსთვის. მაგრამ კავკასიაში, სახაზინო გლეხებს გარდა, საბატონონიც ბევრნი არიან. ანდაზისა არ იყოს, რომელი თითიც უნდა მოიჭრა, ხელი ერთნაირად მეტკინებაო, სწორედ აქაც ის გამოვა. საბატონო გლეხები, ანუ დროებით ვალდებულნი, უფრო დიდს გაჭირებაში ჩაცვივდნენ ეხლა, ვიდრე 1864 წლის 13 ოქტომბრამდე იყვნენ, როდესაც ბატონყმობა გადავარდა ჩვენში. ხარჯსა და გადასახადს, თუ მომეტებულს არა, სახაზინო გლეხებზე ნაკლებს ხომ არ იხდიან. მათი უმამულობაც, როგორც წინა წერილებშიც გვითქვამს, მალე თითით საჩვენებელი შეიქნება. საძოვრის მხრივ ქართლ-კახეთის გლეხი ისე შევიწროვდა *), რომ უარესი აღარ შეიძლება. საცა წინად ნახირი დადიოდა, ეხლა ვეღარ დადის. ხბორები ვენახებსა და ბაღებში უბიათ, რადგან მინდორში თავისუფალი ალაგი აღარ მოიძებნება საძოვრად.

ამისათვის აუცილებლად საჭიროა, რომ დროებით ვალდებულის გლეხის მდგომარეობასაც ეშველოს ისე, როგორც აპირებენ შველას სახაზინო გლეხთათვის. ასეთი შველა მეტს სამართლიანობასაც ჩამოაგდებს და უფრო სახეიროც იქნება სახელმწიფოსათვის. თორემ რას ეგვანება, ერთი გააბედნიერო და მეორე თავდაღმართზე დააყენო, გადიჩეხე და კისერი მოიტეხეო. მართალია, ბ-ნ ტფილისის გუბერნატორს უარი მოუვიდა, როგორც ამ წერილის სათაურში მოხსენებულ ამბავიდამვე სჩანს, და მაგ საგანს ვერ განიხილამს ამ ჟამად შემდგარი კომისია, რადგან ნაბძანები არა აქვს, მაგრამ ჯერ დრო წასული არ არის და შეიძლება ადვილად მოტრიალდეს საქმე, თუ თავის დროზე მოახსენებენ სახელმწიფო ქონებათა და შინაგან საქმეთა მინისტრებს ამ საქმის ვითარებას. სწორედ ეხლავე უნდა მიეცეს ასეთი დაბოლოვება საქმეს, თორემ შემდეგ გვიანღა იქნება; როცა თავისუფალი მამულები დაურიგდება უკვე სახაზინო გლეხთ, მაშინ ვეღარას მოეწევა ბეჩავი დროებით-ვალდებული გლეხი და დარჩება მარტო ღვთის ანაბარად...

ა. ფრონელი

◆

ოფიციალური ცნობა ხოლერის შესახებ.

4 დეკემბერს ერთი მარტყოფელი, დაბრუნდა თუ არა ტფილისიდგან მარტყოფს, ხოლერით გახდა ავად, და გარდაიცვალა. სამკურნალო განყოფილებამ განკარგულება მოახდინა, სადეზინფექციო წამლებით აპკურონ ის სახლი, სადაც ავადმყოფი გარდაიცვალა და ავადმყოფის ნივთებია.

ქ. ლენქორანში 2 ნოემბრიდგან 4 დეკემბრამდე ხოლერით ავად იყო 2. მაზრაში ავად იყო 21, კიდევ ავად გახდა 5, გარდაიცვალა 3, მორჩა 16, ავად არის კიდევ 7.

ქ. ბათუმში 20 ნოემბრიდგან 4 დე-

---

*) მოხარჯე კაცი, რომელმაც შეიძინა გლეხთაგან დასახლებული ადგილ-მამული, კანონით, „მემამულე"-ა და ნება არა აქვს მებატონობისა, ესე იგი, არ შეუძლიან მის მამულზე დასახლებულ გლეხთ მოსთხოვოს განსაკუთრებული თავაზი და პატივის-ცემა, ძღვენი და სხვა კერძო, პირადი სამსახური გაუწიოს (личныя услуги).

*) ახალციხისა და ახალქალაქის მაზრაში ჩივტლიკს ეძახიან იმ მამულს, რომელსაც თვით მემამულე ხმარობდა, ხნამდა და სთესამდა. ამის გამოისობით ბევრს მებატონეს ბაღჩისა, კალო-საბძლისა და სახლკარის მეტი არა შერჩა-რა.

*) რამდენადაც ვიცით ვგონებთ, იმერეთში უსაძოვრობის გამო, სრულიად არ მისდევენ ერბო-კარაქის კეთებას.

კემბრამდე ავად იყო 8, კიდევ ავად გახდა 18, გარდაიცვალა 13, მორჩა 10, დარჩა 3. იმავე დროს ქუთაისის გუბერნიაში ავად იყო 13, კიდევ ავად გახდა 3, გარდაიცვალა 3, მორჩა 13.

ახალი ამბავი

⁂ ბ-ნმა ტფილისის პოლიცმეისტერმა გაუგზავნა ქალაქის გამგეობას სია სასმელების დუქნებისა და ტრახტირებისა, რომელიც გოლოვინის პროსპექტზეა გამართული, კადეტის კორპუსის პირდაპირ. სულ 15 დუქანი და ტრახტირია. ბ-ნი პოლიცმეისტერი სწერს, რომ, რადგან ამ დუქნებში დიდი ლოთობა, ჩხუბი და ვაი-ვაგლახია ყოველ დღე და ამის უნებური მოწმენი არიან კორპუსის შეგირდები, რომელთა ზნეობაზედ ცუდი მოქმედება ექნება სიახლოვეს ამ დუქნებისასაო, კარგს იზამდა ქალაქის გამგეობა, აღეკრძალა მათთვის ვაჭრობა კორპუსის პირდაპირ. გამგეობამ ამის შესახებ მისწერა, რომ სასმელების დუქანი, წესდების ძალით, ყველგან შეიძლება გაიმართოს ქალაქში, ოღონდ 40 საჟენზე დაშორებული-კი იყოს სასწავლებლებსა და ეკკლესიებსაო.

⁂ ამას წინად, ნავთლუღში დიდი ყაზარმებიააშენა ხაზინამ ადგილობრივ ჯარებისათვის. აშენების დასაჩქარებლად ხაზინამვე გამართა საკუთარი ქარხანა აგურისა. ქარხანა ისე დიდია, რომ ერთ ხელობაზედ ამზადებს 240.000 აგურს. დღეს ხაზინას აღარ უჭირს ეს ქარხანა და გაყიდვას უპირებს. რადგან ქალაქის თვით-მმართველობა ამ მოკლე ხანში შეუდგება საკუთარის სასახლის აშენებას და დასჭირდება დიდ-ძალი აგური, ამის გამო ყაზარმების ამშენებელ კომისიის თავმჯდომარე სთხოვს ქალაქის მოურავს, შემატყობინეთ, ხომ არ დასჭირდება ქალაქს სყიდვა ხსენებულის ქარხანისა, და უკეთუ დასჭირდება, რა ფასს გაიმეტებსო. ქალაქის მოურავმა მიანდო ინჟინერ ენფიანჯიანცს—გასინჯეთ ქარხანა და მერე თქვენი აზრი შემატყობინეთო.

⁂ ხუთშაბათს, 10 დეკემბერს, საღამოს 10 საათზედ, ტფილისში, ალექსანდრეს ქუჩაზედ, ჩხუბი მოუვიდათ ორ ძმას გაბუჩიას და სურმავას. ჩხუბში სურმავა რევოლვერით მოჰკლეს. ერთმა ძმამ, ხარიტონ გაბუჩიამ სთქვა, სურმავა მე მოვკალიო, მაგრამ ჩხუბში დამსწრენი ამტკიცებენ, მეორე ძმამ, გიორგი გაბუჩიამ, მოჰკლაო.

⁂ წარსულ კვირას ტფილისიდგან გაიგზავნა ბათუმის გზით საზღვარ-გარედ ბევრი კაკლის კუნძი. ამ ბოლო დროს კაკლის კუნძს დიდი გასავალი აქვს საზღვარ-გარედ და ფასსაც რიგიანს იძლევიან.

⁂ ტფილისის გარნიზონის ადგილობრივ კანცელარიაში ლენქორანიდგან გამოუგზავნიათ საჯარო გასასყიდად ლენქორანში გარდაცვლებულ ვიღაც პოლკოვნიკის ნივთები. ამ ნივთებ შორის არის თურმე ვერცხლის ორი აზარფეშა, რომელიც ეკუთვნოდა კათალიკოზს ანტონ II ჰყონდიდელს. ერთს აზარფეშას შემდეგი წარწერა აქვს: „ჰყონდიდელი ანტონ II, ძე გიორგი დადიანისა. წელს ჩყმზ-სა“. ეს აზარფეშები დაფასებულია 20 მანეთად. ურიგო არ იქნება, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებამ გასინჯოს ეს აზარფეშები.

⁂ გუდაუთი (სოხ. ოლქი): ამ წინაზე ჩვენს მკითხველებს ვუამბეთ, რომ აგენტს ივანოვს დაეცნენ ავაზაკები და ფული წაართვესო. აი როგორ იყო ეს საქმე. გემი საღამოს $7^1/_2$ საათზედ მოვიდა გუდაუთში. ივანოვს უნდა გადაეცა ფული გემის უფროსისათვის. ივანოვს პორთფელში ჰქონდა 6,500 მანეთი, ჯიბეშიაც 1,200 მ. ეს ფული გუდაუთში შეკრიბა. თითონ ივანოვი ამბობს, მივუახლოვდი თუ არა გემსაო, ვიღაცა მამაპარა ჩუმად, თავში დამარტყა და რაღაც ძირს დავეციო. ცოტა ხანს უკან გონს მოვედი და ვნახე, რომ პორტფელი წაეღოთ. მერე ეს პორტფელი იმ ალაგას იპოვნეს, სადაც ავაზაკი დამეცა. პორტფელში ფული აღარ იყო.

მკურნალმა, რომელმაც ივანოვი გასინჯა, სთქვა, რომ ივანოვს სრულიად არ ეტყობოდა, რომ თავში დაურტყამთო. ამას გარდა ივანოვის ტანთსაცმელი სრულიად სუფთა ყოფილიყო, თუმცა იმ დღეს დიდი წვიმა მოდიოდა და უეჭველად ტანთსაცმელი ტალახით უნდა ჰქონიყო მოსვრილი, მართლა რომ ისე მომხდარიყო ეს ამბავი, როგორც ივანოვი ამბობს.

⁂ სოფ. ზანა. (ზუგდიდის მაზრა): ამას წინად შემდეგი ამბავი მოხდა აქ: აქაურის მცხოვრების ტოია ჭითავას ცოლს უცაბედად კაბაზედ ცეცხლი მოჰკიდებოდა. ქალს თურმე ძუძუ მწოვარა ბავში კალთაში ჰყოლია, ბავში ხელიდგან გაუგდია და მეზობლისას გაქცეულა წივილ-კივილითა და „მიშველეს“ ძახილით. იმ დღეს აღმოსავლეთის ქარი თურმე ჰქროდა და ამან უფრო გააძლიერა ცეცხლი. საწყალს დედაკაცს ვერავინ მიეშველა, გზაზე წაიქცა თურმე ცეცხლ-მოკიდებული და იმავე წამსვე განუტევა სული.

⁂ ს. ქედა (ქვედა აჭარა): 26 ნოემბერს სოფელ მაჯახლის პირს, ცოფიანმა ძაღლმა დაჰკბინა სამი ვაჟი და ერთი თორმეტის წლის ქალი. სიღარიბისა გამო ქალაქში წასვლა ვერ მოუხერხებიათ მოსარჩენად და არიან ასე უპატრონოდ.

სოფელს აგარაშის მახლობლად უზეირ-აღა-დევრიშ-ოღლის სახლს ვიღაც ავაზაკებმა ცეცხლი წაუკიდეს. სახლი, და რაც რამ-კი შიგ იყო, სულ ერთიანად გადიბუგა.

ამ დღეებში იუნკერმა მაჰმუდ-ბეგ შარვაშიძემ რამდენისამე მილიციელის შემწეობით შეიპყრო სახელ-განთქმული, სამის წლის გადავარდნილი ფირალი შავშეთელი ზაბით-ემროლოღლი, რომელმაც ფირალობით მთელი შავშეთი და ახალციხის მაზრა შეაწუხა.

⁂ ახალ-სენაკი: აქაური ახალი სტამბა შეუდგა ერთის ახალის წიგნის ბეჭდვას. ეს წიგნი გახლავთ ბ-ნ თ. ხუსკივაძის ნაწერები. წიგნი იბეჭდება ჩვენის მესტამბის თავართქილაძის ხარჯით. მეთვრამეტე წიგნსა ჰბეჭდავს ბატონი თავართქილაძე იმ მცირე ხნის განმავლობაში, რაც ოზურგეთში სტამბა დაარსდა. მეტსაც დავბეჭდამდიო, ამბობს ბ-ნი თავართქილაძე, მაგრამ რა ვქნა, რომ რიგიანს ვერასა ვშოულობ დასაბეჭდადაო. ევროპიულ თხზულებათა კარგი თარგმანები მაინც რომ გამომიგზავნონ ხოლმე, დიდის სიამოვნებით დავბეჭდავო.

⁂ გუდაურიდგან სწერენ გაზეთ „Кавказъ“-ს, რომ ტფილისიდგან წამოსული ექიმები, რომლებიც მიდიოდნენ პეტერბურგს ექიმთა კრებაზედ დასასწრებლად, თოვლის ზვავის გამო გუდაურში დარჩნენ. რადგანაც ექიმები დანიშნულ დღეს ვეღარ მიუსწრებდნენ კრებას, ამიტომ ექიმმა გლავაცკიმ ეს ამბავი შეატყობინა დეპეშით სამკურნალო დეპარტამენტის დირექტორს.

⁂ რატილის ქართული ხორო ბარონ-ფონ-დერ-გოვენის შემწეობით მერმის გაზაფხულზე აპირობს იმოგზაუროს რუსეთში. ბარონ-ფონ-დერ-გოვენს კოჯორში გაუგონია რატილის ხოროს სიმღერა და ძრიელ მოსწონებია. ხორო ჯერ ადესას წავა, მერე მოსკოვს და პეტერბურგს. თუ საქმე კარგად მოეწყობა, იქნება ჩიკაგოშიაც წავიდნენ, იმავე ბარონის დახმარებით. („Н. О.“).

⁂ გაზეთ. „Н. О.“-ს შეუტყვია, რომ ქვათა-ხევის მონასტრის დიაკვანთა სასწავლებელში სწავლის წესრიგი შეიცვლებაო. განზრახვა აქვთ ამ სკოლის მასწავლებლად სემინარიაში სწავლა-დამთავრებული კაცი მიიწვიონ.

⁂ 11 დეკემბერს ვახტანგის ქუჩაზედ არიევის სახლში ბუხრის ლულა გასკდა; იქიდგან ცეცხლი წაეკიდა ვარტემოვის სარაიას. სარაიაში თივა ეყარა და იქვე ძროხა ება: ძროხაც და თივაც დაიწვა. ცეცხლი შინაურებმა ჩააქრეს.

ქუთათური ფელეტონი.

ერთი ჩვენი ანდაზა გვეუბნება, რომ ხანდახან შესაძლოა სოფელში უჯოხოდაც გაიაროთო, მაგრამ ქუთაისში-კი, ღმერთმა გაშოროთ, ამ ნაირი გაბედული აზრი გაიტაროთ გულში, აქ, ოთხ-ფეხისა რა მოგახსენოთ, და ორ-ფეხა სულიერნი-კი შიგ კუნთში შემოგჩერებიან—აცა, ერთი ვუკბინოვო. არჩევნების დროს ხომ ამნაირ თავის თვისებას არავინ ჰფარავს, ყველა აღეწილია, ამრეზილი, ქეჩო-აშვებული. მაგრამ არც სხვა დროს არიან სანდონი, ვითომ მიძინებულნი ქუთათურნი. ქუთათურების ეს თვისება, სჩანს, არ სცოდნია ერთს ექიმს—და არც გასამტყუნარია, რადგან უცხოელია და ჯერ კიდევ ვერ მოუსწვრია ქუთათურების გაცნობა. და აი, სწორედ ამ უვიცობისათვის სასტიკად დაისაჯა. ამ ექიმს მინდობილი ჰქონდა, თვალყური ედო სურსათ-სანოვაგეს სიკეთისათვის ქალაქში და ერთობ ბაზრის სიწმინდისათვის. სასყიდელი-კი ქალაქმა ამისათვის არა დაუნიშნა-რა. ექიმმა იფიქრა, ალბად თავის გულ-მტკივნეულობის გამო, „ქალაქი ღარიბია, რა საჭიროა, რომ ის შევაწუხოვო“. ისევ მე აღმოვაჩენ ჩემ დასაკმაყოფილებლად წყაროსაო; აღგა ერთს დილას, აიღევნა თავისი ხელქვეითი მაზრის უფროსი და ჩამოიარა მედუქნეები. ჯერ საკადრისი დარიგება მისცა, თუ როგორი სურსათი უნდა იქონიონ, და შემდეგ დაუწერა მოწმობა, ყოველივე წესიერად და რიგიანად აქვს მოწყობილი ამა და ამ მედუქნესაო. ბოლოს მოსთხოვა ამ გარჯისათვის სამი მანეთი, აიღო ფული და გაუდგა გზას. ეხლა მეორესთან მივიდა, მერე—მესამესთან. ფულს-კი ხმა ამოუღებლად აძლევდნენ, მაგრამ ამავე დროს მეხანათი ქუთათურები ხაფანგს უგებდნენ თურმე გულ-უბრყვილო ექიმს.

—ბიჭოს, ეს რა ამბავიაო, თითო ხელის ჩამორთმევაში სამ-სამ მანეთს გვართმევსო?

შეიქნა ერთი ჩოჩქოლი; იქვე გაჩნდა ერთი მოხელე. შეადგინეს პროტოკოლი. უპროტოკოლოდ ხომ ვერ მოისვენებს ქუთათური! დაასახელეს მოწმები და გაარიგეს ყველაფერი, რასაც წესი მოითხოვს.

„ფინთიხივით“ გავარდა ხმა მთელ ქუთაისში და ერთი მეორეს ეჩურჩულებოდა—ეს რა კარგი ამბავი მოხდაო.

ერთმა გამოცდილმა კაცმა რომ მოისმინა ეს ამბავი, დინჯად სთქვა: სულელი ყოფილა ის ექიმიო; მე რომ იმის ალაგას ვყოფილიყავ, იმ მედუქნეებს თოკს წავაბამდი, სახლში ხვეწვით მივიყვანდი და იქ მოვატანინებდი ფულსაო. ესეც-კია, რომ ადგილის კურდღელს, ადგილის მწევარი დაიჭერს. მაგრამ, რაც უნდა იყოს, ქუთათურებს ვერ მოუწონებთ ამ ნაირ საქციელს: ერთი ესა რომ, ღმერთისთვის მადლობა უნდა შეეწირათ ქუთათურებს, ამ ნაირი სასწაულთ მოქმედის ექიმის მოვლენისათვის. ეს ის ექიმი არ იყო, რომელმაც ამ ზაფხულს შეუტია ხოლერას და შესძახა ყარამანსავით—შესდევ, შენს ქერქში იყავიო! და შეაჩერა კიდეც. მეორეც ესა, რა ცეცხლია, რომ ერთს კანონიერ ჯილდოს ეცილებიან (ის ექიმი სრული დარწმუნებული, რომ კანონი ნებას აძლევს ამ ნაირის ღალის აღებისას) და მეორეს-კი ძალას ატანდა, გინდა თუ არა, ჩვენგან ჯილდო მიიღეო.

ქუთათურების ახირებას ფანრებიც დასცინიან: „ვითომ რაო, რომ ქალაქის გამგეობა განაახლეთ, მუყაითობას და საქმიანობას იჩენთო, გზებიც გააკეთეთო, ასიოდე მოძმენიც (ფანრები) შეგვაძინეთო. არა გვჯერა მაინც, რომ ბოლოს გაატანოთ ამ საქმესაო, ღმერთს დღე იმისთვის გაუჩენია, რომ ყველაფერი განათებული იყოსო, და ღამე კიდევ მისთვის, რომ ყველაფერი ბნელით იყოს მოცულიო. ფანრები დაცინვით „წკურევენ“ თვალებს და წინანდელზე უფრო აბნელებენ ქუჩებს.

არა ნაკლებ დასცინიან ქუთათურებს ფოსტის შიკრიკები. ჯერ ხომ რკინის გზის მმართველობამ კანონიერად განსაჯა, ქუთაისი არაფრად მიიჩნევს ახალ-ახალ გაზეთების დროზე მიუღებლობასაო. ქუთაისი თავის საკუთარის ჰორიკანაობითაც იოლად წავაო და, მის მაგიერად, რომ ფოსტა საღამოს მოგვართვას, როგორც წინად იყო, ნაშუაღამევის ხუთს საათზე გვიგზავნის. ფოსტის შიკრიკებს კორრესპონდენცია ურიგდებათ დილის 8 საათზედ, ერთი მათგანი, ის, რომელიც ახალ ამბებით აპკურებს გაღმა მხრის მცხოვრებლებს, სრული თანახმაა რკინის გზის მოხელეების მოსაზრებისა, რომ გაზეთები და ახალი ამბები მაინცა-და-მაინც არაფრად ესაჭიროებათ ქუთათურებსო, და ხან სულ არ მიაწვდის მკითხველს გაზეთს და ხან მეორე დღეს ერთად მიუტანს ხოლმე დაბინდებისას მთელს ხროვას. თავს მართლულობს იმითი, რომ ორი შიკრიკი მთელს ქუთაისს ვერ გავწვდითო.

ამისთანა კარგი ამბები ბევრია ჩვენს მშვენიერ ქუთაისში, მაგრამ ზოგი „სასხუმადლოდაც“ შევინახოთ.

დ.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

დ. ხონი, 10 დეკემბერს. ჩვენში დღეს სალაპარაკო მხოლოდ ის შეტაკებაა, რომელიც მოუხდა, ერთის მხრივ, ბ-ნ შარაშიძეს თავისის მომხრეებით და, მეორეს მხრივ, ბ-ნ დიმიტრი ჩხიკვიშვილს თავისისავე მომხრეებით. შეტაკება გამოიწვია შემდეგმა გარემოებამ. როგორც მკითხველს ეხსომება, ამას წინად რამდენიმე სოფლის საზოგადოებათ დაბა ხონთან ერთად გამოიყვანეს მდინარე ცხენის წყალისაგან დიდი არხი, ორპირად მომავალი ოც-და-ხუთის ვერსის მანძილზედ, რაიცა შეადგენს 50 ვერსს, ცალპირად რომ ვიანგარიშოთ. დანიშნულება ამ არხისა ის არის, რომ თითქმის ოც-და-ათი ათასი დღიური ურწყავი მიწა სარწყავად გარდაჰქმნას და ამოდენა მამულის შემოსავალი და, მაშასადამე, ფასიც ერთი ათად გაადიდოს. არხი მოდის ცხენის წყალიდგან ხონზედ, აქედგან ჩადის დაბა გოჩა-ჯიხაიშს, მერე დიდ-ჯიხაიშს, ეცერს, იანეთს და სხვა. ეს არხი მოსდევს გზა-ტკეცილს ორ-ტოტად, გზის აქეთა და იქითა თხრილზედ. სიკეთე ამ მიმართულებისა ისაა, რომ ყოველ სოფელს, რომელიც-კი გზის მარჯვენა და მარცხენა მხარეზედ დევს, შეუძლიან თავისთვის გაიყვანოს წყალი და გადასცეს ახლა სხვა, მის ქვემოდ მდებარე სოფელს. ამ ადგილებში აქამომდე სარწყავი წყალი თვალით არ ენახა არავის.

პირველად არხის გაყვნის აზრი ჩვენში დაჰბადა ბ-ნმა ნ. ი. ნიკოლაძემ, რომელმაც განზრახ მოიწვია მცოდნე ინჟინერიც! მან გასინჯა ადგილები და დაამოწმა, რომ არხის გაყვანა ამ უწყლო ადგილზედ სწორედ შესაძლებელიაო.

ამ აზრმა ძლივს მოიკიდა ფეხი ჩვენს სოფლის ხალხში. მეტადრე, ეგრედ წოდებული, ხონელი ინტელიგენცია, რომელსაც ყვირილის მეტი სხვა შნო ჯერ არაში გამოუჩენია, ძრიელ ურწმუნოდ ეკიდებოდა ამ საქმეს და შეუსრულებელიც ეგონა. მასხარად იგდებდნენ ბ-ნ ნიკოლაძეს. ბოლოს, როგორც იყო, ბ-ნმა ნიკოლაძემ, დიდის შრომის შემდეგ, დაიყოლია ოთხი დიდი საზოგადოება და თვით დაბა ხონიც. ხონში ბ-ნ ნიკოლაძეს მისცა მხარი ბ-მა შარაშიძემ, ცნობილმა მოღვაწემ ჩვენის დაბის განათლებისამ. შეჰკრიბეს სულ ოთხასი თუმანი, დანიშნეს ხაზინადრად ბ-ნი შარაშიძე, ახსენეს ღმერთი და შეუდგნენ ამ მცირე თანხით საქმეს. ყველანი იძახოდნენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ეგ ფული წყალშია გადაყრილიო, მაგით არხს-კი არა, რიგიან წყაროსაც ვერ გააკეთებთო. ამ ოთხას თუმანში სამოც-და-ათი იყო ხონელებისა. ამორჩეულმა კაცებმა გასჭრეს სათავე, გააკეთეს „შლიუზები“, მიუშვეს წყალი გზა-ტკეცილს აქეთ და იქით თხრილებში, და წყალი წამოვიდა. თხრილები ამოწმინდეს, სადაც-კი საჭიროება მოითხოვდა, გასჭრეს ახალი თხრილები, სადაც არ იყო, გააკეთეს რამდენიმე ხიდი ხევებზე და ერთს მშვენიერს დღეს წყალი მოადგა ხონს, აქედგან წავიდა ქვევით სოფლებისკენ, და მთელი აქაური მოსახლეობა მადლობით შეჰყურებდა თავიანთს ამორჩეულებს, რომელთაც დაუჯერებელი საქმე დასაჯერებლად გარდაჰქმნეს. არ იამათ ეს საქმე მარტო იმათ, ვისაც თითონ არა შეუძლიანთ-რა და სხვისი ჟნარი-კი საშინდალა ჰშურთ. გაიმართა ერთი საშინელი „პარტიობა“ ხონში: როგორ თუ დაბა ხონის წარმომადგენლად ამოირჩიეს ვიღაც შარაშიძე და არა ინტელიგენტები, რომელნიც თავიანთის კალმის წვერით ქვას გაჰხეთქავენო. ის-კი დაავიწყდათ, რომ ეს „ვიღაც შარაშიძე“ ისეთი, კაცია, რომელიც თავს მოაწონებინებს არა მარტო ხონს, არამედ ბევრ სხვა დაბა-სოფელსაც. წარმოიდგინეთ კაცი, რომელსაც არსად მიუღია განათლება, მაგრამ ისეთი მომხრეა განათლებისა და იმოდენი ღვაწლი მიუძღვის ამ საქმეში, რამოდენითაც იშვიათი განათლებული კაცი დაიტრაბახებს. ამის მეცადინეობას მიეწერება, რომ დღეს ხონში სოსტატო სემინარიაა; ამან გამართა თავისი ხარჯით საქალებო დედათა სკოლა და ინახავს აგერ ათწელიწადზე მეტის ხნის განმავლობაში. ამან გადაავლო მთელი თავისი თვალსაჩინო შეძლება სწავლის საქმის გაძლიერებას, და რა საკვირველი უნდა იყოს, რომ ბ-ნ შარაშიძე დღეს ყველასაგან პატივცემული და სანდო კაცია. ამ არხის საქმეშიც ხონელებმა ამოირჩიეს ბ-ნი შარაშიძე. საქმე, როგორც მოგახსენეთ, გაიჩარხა. მაგრამ, როგორც ყოველ კეთილ საქმეს, ამასაც გამოუჩნდნენ მტრები, ცნობილმა მდიდარმა დიმიტრი ჩხიკვიშვილმა ას თუმნად იყიდა მამული ხსენებული არხის სათავის ზემოდ, აზნაურ რევიას პირდაპირ, და შეეკრა ამ რევიას პირობით, რომ დაჰხმარებოდნენ ერთმანეთს და ისეთი მიმართულება მიეცათ მდინარისთვის, რომ არხის სათავეში წყალი აღარ მისულიყო, და თუ ვინმე სხვა ადგილიდგან გაიყვანდა წყალს, ხარკი ერთმიათ ყველასათვის, სოფლის საზოგადოება იქნებოდა, თუ კერძო კაცი. ასეც მოიქცნენ. წყალი გადააგდეს და არხი დაშრა. მოხდა ერთი ამბავი. სოფლის საზოგადოებათ გამოიყვანეს თითქმის ათასი კაცი გლეხობა. ჩხიკვიშვილმა და რევიამაც გამოიყვანეს თავიანთი მომხრენი, მიდგა საქმე ძალაზე. უკანასკნელებმა თოფიც-კი გაისროლეს. გლეხებმა ვეღარ მოითმინეს, ეცნენ თავიანთ მტრებს, დაიჭირეს ჩხიკვიშვილი, მიჰგვარეს მთავრობას, რომელსაც შეატყობინეს თავიანთი გარემოება, და მთავრობამაც საჭიროდ სცნა ჩხიკვიშვილის დაპატიმრება. ჩხიკვიშვილის დაპატიმრების შემდეგ წყალი ისევ წამოიყვანეს არხით, რომელიც დღეს მშვენივრად მუშაობს.

ო. ნ. ი—ძე

პატარა ფელეტონი

(წვრილი ზესტაფონიდამ)

„არის ადგილი, მის მშვენებას“... აფუ! მის საქმეებს ვერ ასწერს ხელი! რა გვიჭირს, შავი ქვაცა გვაქვს და ნაცარი ცხელიცა! ყოველ გვარ სიკეთეში შიგა ვლივლივებთ. სწორედ რო „ჩვენისთანა ბედნიერი არსად არი ეხლა ერი“... ახლა სათავე მკითხეთ ამ „სჩასტიისა“... მოგახსენებთ. ვიცი ამოგეკითხებათ „ლაპერუზას“ თხზულებაში: „бѣзъ ращета жить нельзя, надо ариѳметикъ“. ჩვენა, ბატონო, არამც თუ გავიზეპირეთ ეს „ариѳметикъ“, არამედ კანონებიც შევცვალეთ. მაშ! გონების ვარჯიშობა, ჭკუის ძალდატანება ძაან რამა ყოფილა. ბედნიერებას, მე ვამბობ „გროშეულობისას“, უძღუროდ მოგაკერებს. აბა თუ კაცია, ვინც დიდი „ფილოსოფიოა“, და გაიგებს—თუ როგორ უნდა მოაწყოს კაცმა თავისი საქმე, რომ ერთს „რასმეს“, „განძსა შავსა, კარგს, არ ავსა“, 28—33 კ. ჰყიდდეს ფუთსა, მაშინ როდესაც მარტო ამ „რამის“ ერთი ადგილიდამ მეორემდე მოსატანს თვით „კაცი—კუპეწი“ ფუთზე 30—35 კ. იხდიდეს და მასთან, არამც თუ არ იზარალოს, პირ-იქით 10—13 კ. მოგებასაცა ჰხედავდეს ფუთზე! გამოცანაა განა? ამისთანებიკი ვიცით! ისე მოვხრიკავთ ამ გვარ „დელოებს“, ცხვირსაც-კი არ დაგვაცემინოს.

არ მომიკვდეთ, მეცნიერთა კრების და ჩვენი „ახალი არითმეტიკის“ გამომჟღავნებისა ჩვენ არ გვეფიქრებოდეს. ჯერ რომ, ღვთის მადლით, გარს „სიბრიყვის ყორე“ გვარტყია და, თუნდა მეორე ახალი „არითმეტიკა“ გამოვუწყოთ, მიქინი არაფრისა გვაქვს: „ყორეთა წვერნი“ ვერას გაიგებენ; მეორეც—„საქმესა შინა“ ძაან „ბრეული“ „უმი“-ა ჩამარხული, რომ თვით მეცნიერთაც-კი გააწყონ რამე... და თუ, ჟამთა ვითარებაა, ოსტატობას მიგვიხვდა ვინმე, და ჩვენი „აკვრათა შინა“ გამოამჟღავნა, პასუხი, განმბანავი და განმკურნავი ყოველისავე მოსალოდნელის სენისაგან, წინადვე დაგვიმზადებია: «ოშიპკა და ბოლში ნიჩავო»!.. ამ შემთხვევისათვის „ატუნკატი“-ცა გვყავს, გვარწმუნებს: „ნიჩევო“-ზე მტკიცედ იდეგით; საცა-კი „ნიჩევო“-ს ჩაატან, „ნიჩევო“ გამოვაო. კაი სიტყვა ჭკუას მოსწონს და გულს ახარებს... კაი კაკაა, რამდენსამე მილიონჯერ 10—13 კაპ.; იხარე ქერო, მოკვდი მტერო და დადუმდი ენავ მტრისაო!

— არა, კარგი „შტუკია“ და: სხვასა ჰგონია, საწყალი თავნიდამ ჩამოდის, ჩქარა „პუპლიკაციას“ დაუკრავენო, ჩვენ-კი გუნებაში გვეცინება და ვამბობთ: საბრალო, რა სულელიაო.

მე და ჩემმა ღმერთმა, ყველაფერი კარგად არის მოწყობილი ამ ქვეყნად... ვაჭრებისათვის თავიანთი განსხვავებული დამღა რო არ დაესვა, თქვენი მტერი, სადა ვნახამდით, ან ვაჭრობას, ან ვაჭრებს, სულ „სუტკუპწებით“ მოიკირჭყლებოდა ქვეყანა!

**

„სუტ-კუპწობა“ რო სანატრელი ამბავი არ არის, განა ეჭვშია ვინმე? ვაჭარს ვაჭრობა უნდა ეცნოდეს: განა „პლუტ-კუპეწ და სუტ-კუპეწ“ ერთი და იგივეა? არა, ბრიყვი ვინ იქნება, ეგა სთქვას! პირველი ანგელოზია—ხორველისა არ გეგონოთ—მეორე—ტეტია; ერთი „სხივ შერთული“ ვინმეა, მეორე-კი გამოყუყუჩებული, გაბერილი გუდა და სხვა... ვაჭრობას დაადექ—რაც შეგეძლოს ბლომად „ჩაჯიბე“, არაფერი ითაკილო, ნურას მოერიდები, „ლიმონ-კანფეტობაზე“ ხელი აიღე; თორე „სუტად“ იქცევი. ღვთის წინაშე, ვერც არას ვუსაყვედურებთ ჩვენს „ჯეჰელებს“: გულითა და სულით ადგანან „გზასა ხვეჭისასა“. ყველაფერს მართლა „პლუტ-ვაჭრული“ ნიხრი გამოუწყეს, და ერთი სამად და ოთხად ასაღებენ. ასე გასინჯეთ, პურსაც-კი ცომს ჰყიდიან—რა არი—წონაშიმეტი მოვიდეს; მაშასადამე მეტი „გროშეულობა“ მოეცხოთ. სასტიკად ეპყრობიან გამომჟღავნებულს მეპურეს, ყასაბს და სხვა-და-სხვა, მაგრამ საქმე „გამომჟღავნებაა“: პირველი—ამის უკან სადევრად არავისა სცალია და მეორე და უმთავრესიც—ყველა ხორაგით მოვაჭრეს გაჯავრებაში „ხელის ცაცუნიც“ სჭირია და ამ უკანასკნელს ღირსებას დამნაშავისას უფრო ერიდება ბრალმდებელი. ამასობაში ვაჭარს თავისი გაჰყავს და შენ—„რამდენიც გინდა იხტუნო—მაინც ქაბას ვერ მიაღწევ“.

**

მართლადაც, რო შეიძლო ხტუნვით ქაბას წასვლა, ყოვლად შეუძლებელია ჩვენი დაბიდამ თავის გამოღწევა: ტალახი და სიბინძურე, ვიდრე გაივლი ერთის კუთხიდამ დაბისა მეორემდე, ადგილობრივვე სულს ამოგხდის ან შუა „გლუვნი“ ქუჩაში ჩაგახრჩობს სადმე. მწყობრად „მებოლთენი“ სადგურის მოედანზე, გულგრილად უცქერიან სიკეთესა მას „რეზიდენციისა თვისისა“. მაგრამ ან-კი რა ჰქნან. უმაღლესის აზრით ცამდე აღმფრთოვანებულნი, ცოდვაც იქნება, ძირს დავუშვათ და ისიც რისთვის? სასაცილოა, თქვენმა მზემ, დაბის სისუფთავეზე საზრუნველად! კიდევ „აფუ“! იმედია მაპატიებენ...

**

მე თქვენ მოგახსენოთ, თუ უსუფთაოთა ვართ,—დროს ვერ ვატარებთ! კლუბიცა გვაქვს, განა!.. არა, კლუბი-კი არა...ჰო, კლუბი... მაგრამ... არა, განგებ ქაღალდის სახლი გვაქვს დაჭერილი წლობითა. ხომ მოგეხსენებათ, ზოგნი „თანამემცხედრენი“, ე. ი. უფრო რო ყველანი, აღმაცერად უყურებენ „ნეტარ ხსენებულს ვინტს... და ბევრჯელ „აბიდასაც“ გვაჰმევდნენ ხოლმე, როცა შინა „ვვინტობანობდით“... ჩვენც გადავწყვიტეთ, — ეჰ, ჯანდაბას, თუმანი, ვითომ ხორველით ავად გამხდარვართ და ექიმზე დაგვიხარჯავს ან წაგვიგიაო და... „გავაღეთ“ კლუბი. პირველში, სანამ ახალი იყო, „რაღაც“ ეგონათ „ჩვენთა მათ პატიოსანთა“, და ან სანამ მეუღლენი ეშმაკობას შეგვიტყობდნენ, კიდევ კარგად მიჩანჩალებდა ჩვენი „სათამაშო სახლის საქმე“, ე. ი. სახლის ქირას მაინც ვიხდიდით და საყვედურით ცხვირი არ გვქონდა გახვრეტილი, ეხლა კი, რა შევიგნეთ ვითარება „კლუბისა“, მოგვეხალისა და შინადამაც მოწერილობა გამოვიდა: შე სახელ-გასაწყვეტო, ე ფულს ხო აგებ და აგებ, შინ მაინც ეგდეო“, —ყველა ჩვენგანმა „სათამაშო სახლი“ შინ გადაიტანა და დღეს იქამდე მიაღწია ჩვენმა „უსარგებლო დაწესებულებამ“, რომ სახლის ქირაც ვერ გადაგვიხდია ბლომის არი „პრიჭტავით“ გავულალონ. ვეღრიჯებით ერთნანეთს, ცოტა რამ მაინც მოგვაშველეთ, თორე საქართველოი ლუპებაო. დაღუპვა არ არის, მა რა ოხრობაა!?.. სასიამოვნოდ და სათამაშოდ განმზადებულს „ჩლენს“, შეჰსდიხარ თუ არა „კლუბში“, თვალში მაშინათვე „ბალანსი“ გეჩხირება: თუ,—ეს გასავალი აღემატა ჩვენს შემოსავალს და ღვთის გულისათვის შეიჩმუჩნეთ და განემზადეთ „წარმოსაგზანად ჯიბისაგან თქვენისა ქანქარისა მის ორჯერ ხუთისაო“. ბან-ჩკა! საიდამ მოსულან ავრე იაფი: რისთვის, ძმავ, ვისთვის? ისიც ტუტუცობა იყო, რომ რამდენსამე ხანს „ნაღდი“ ვიყავ—მეტი რა ჩარა იყო, რომ არ შემომეტანა—ვინტს სად ჩავკრავდი!—ეხლა რო შინ ვიძახი: „малютка на пикепціяхъ“, იმას რა სჯობია! ორი სახლის შენახვა არ შეგვიძლიან, მოდი და გამტყუნე! ჩვენს შეზეზრებას, ისევ კლუბს ამოვაღებინოთ, რაც აკლია! ეს „სცენა“ ხო გაგვიმართა ერთმა არა „მოვინტავე წევრმა—ვაქირაოთ. ვაქირავებთ კიდეც.

მანამდის-კი, ღვთის წყალობა გაქვს... ჩვენ ის ბალოგანად ვაქციეთ... ამაზე მეტი გინდათ: ვინც 3—10 მან. მოგვცემს, აკრობატია თუ არტისტი—სულ ერთია, სიამოვნებით ვუთმობთ სასცენო ზალას, გულს სწორედ უხარის ხოლმე, როდესაც კლუბის კარებზე ფუნთუშა და დახატულ ქალბატონის სახესა ვხედავთ, სჩანს „ზანიატია“, ჩვენს გადასახადს რამე „მოესხლიტება“. ღმერთმაც უშველოს, რო ეს „ზალა“ შეგვეწროს:—ერთის მხრით გვართობს, მეორეს მხრით—გვასარგებლებს—თორემ ადრე და მალე გამოესალმოს თქვენი ავად მახსენებელი, როგორც აქამდე კლუბის ნაფლეთიც აღარ იქნებოდა და სხვათა კეთილთა საქმეთა შორის, წარწყმედილთა უზრუნველობით, დაუდევრობით ჩვენი კლუბიც წიაღსა შინა განისვენებდა. ორ ჟურნალსაც ვიწერთ, მაგრამ ამაოდ, კითხვისთვის ვის მოვაცლით. თუ ღმერთმა ჰქნა და შემოიხედა ვინმემ, გულითაც რო უნდოდეს კითხვა, ვინ გაუშვებს. ვტაცებთ ხოლმე ხელსა და ქაღალდში ჩავითრევთ, რა არი—ერთი ორი გროში შეემატოს ამ ჩვენს უდღეო ქმნილებასაო. ღმერთო ძლიერო, შენ დაიხსენი ყოველივე განსაცდელისაგან რჯულ საქრისტიანო და მასთან ჩვენი „კლუპიცა“... რა ვიცით, ჟამთა ვითარებაა, იქნება „გვერდნი-გვერდთაგანნი“ ისევ აგვიჯანყდნენ და მერე?!

„კუნჟუტ-ბეგ“

უცხოეთი

გერმანია. ბერლინში ამას წინად კონსერვატორების კრება იყო. საგნად ამ კრებას ისა ჰქონდა, რომ გადაწყვეტილიყო—როგორ მოექცეს ეს დასი ებრაელებს. 1200 კაცი მეტი დაესწრო და ერთობ იმას გაიძახოდნენ, დროა, ებრაელთა უფლებას ბოლო მოვუღოთ, დროა, კონსერვატორები შევერთდეთ და გალაღებულ ებრაელს გზა შევუკრათო; ჩვენის ცხოვრების ბატონი ჩვენვე უნდა ვიყვნეთ და არა ეს ღვთისაგან და კაცისაგან დაწყევლილი ტომიო; ამისთანა მარჯვე დროს დასი თავის დღეში ვეღარ მოიგდებს, რადგან ამ ჟამად, რაც უნდა შევავიწროვოთ ჩვენი ფულის მეფენი, საზოგადოებრივი აზრი მაინც ჩვენკენ იქნებაო. ებრაელთა ლანძღვას, გინებას ბოლო აღარა ჰქონდა. ყველა უბედურების მიზეზად ებრაელი გამოიყვანეს და სრული თანხმობა და თანაგრძნობა გამოუცხადეს „ებრაელთა მოწინააღმდეგე დასს“. ამ გვარად ებრაელთა წინააღმდეგობა დღითი დღე მატულობს. კონსერვატორებიც მიემხრნენ ებრაელთა მოწინააღმდეგეთ და ამ სახით შესდგა ისეთი ძალა, რომელსაც თავისი მნიშვნელობა აქვს გერმანიის საპოლიტიკო ცხოვრებაში. ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ ამ გარემოებას და მკითხველმა თვით განსაჯოს, რა გზას დასდგომია განათლებული ნაწილი იმ ქვეყნისა, რომელსაც ჩვენ ყაზარმეთი ვუწოდეთ. მოთავე და დამაარსებელი „ებრაელთა წინააღმდეგის დასისა“ ალვარდტი რეიხსტაგში არის წევრად ამორჩეული და, მაშასადამე, რამდენიმე ათასის კაცის წარმომედგენელი ბრძანდება.

საფრანგეთი. პანამის საქმე-კი დღითი დღე სულ მეტსა და მეტს ყურადღებას იქცევს საზოგადოებისას; თან სულ ახალ-ახალს კაცებს სწამებს მექრთამეობას. სენატორებს ქურდობას აბრალებენ, დეპუტატებს კიდევ უარესს, თუ ამაზე უარესი იქნება კიდევ რამე. თვით მინისტრს, ფინანსთა მინისტრს რუვიეს, უყვირიან—შენი ალაგი მინისტრის სავარძელი-კი არა, დამნაშავეთა სკამი არისო, სამსჯავროს წინაშე უნდა წარსდგეო*). დღეს დაუყვირეს, ხვალ შეიძლება ასეც მოხდეს. მართალია, სამინისტრო, და მეტადრე ბურჟუა ამტკიცებს—ეს საქმე საპოლიტიკო საქმეა, მის გამოაშკარავებით ქურდობის დასაჯვა-კი არა, რესპუბლიკის შერცხვენა და ძირს დაცემა უნდათ აწინდელ მთავრობის მოწინააღმდეგეთა და ბულანჟისტებსაო! მაგრამ განა სულ ერთი არ არის, რა აზრი ჰქონდათ, პანამის საქმე რომ გამოაშკარავეს? მტერი ყველაფერს ხელზე დაიხვევს და გამოიყენებს, მეტადრე იმისთანა გარემოებას, რომლის გამო ორ კურდღელს მოჰკლავს—ქურდსაც დასჯის და თვით მთავრობასაც შეარცხვენს. თქმა არ უნდა, უმეტესი ნაწილი იმათი, რომელთაც გაზეთები მოქრთამობას აბრალებენ, სრულიად მართალნი და უბრალონი გამოდგებიან, საქმე დუელებით გათავდება და ერთხელ კიდევ დამტკიცდება, რომ გაბრაზებულს ანრი როშფორს ცილისწამება საუკეთესო იარაღად მიაჩნია, მაგრამ თვით მინისტრს რომ უძახდნენ—ქურდი ხარო, ეს მეტის-მეტია. ჩვენ წინადაც ვსთქვით, რომ, ეს ვითომ ახალი სამინისტრო, საქმეს ვერ გაუძლვებაო და ახლა უფრო გაბედვით ვიტყვით—დღეს ხვალ ეს სამინისტროც დამარცხებულ იქნება პა-

---

*) ეს სიტყვა გადუკრეს ბულანჟელებმა და მინისტრმა ასეთი პასუხი მიახალა: თქვენსავით არ გავექცევი სასამართლოს და დიდის სიამოვნებით წარვსდგებიო.

ნამის საქმის გამო, რადგან სისუსტისა გამო ვერ შეუსრულებია საზოგადოების სურვილი, და მაშინ ან პალატას დაითხოვენ, ან, გაზეთებისა არ იყოს, კარნო თავს დაანებებს თავის ალაგს. კრიზისი მაშინ დაიწყება და ბევრად უფრო ძნელი კრიზი იქნება, ვიდრე დღეს არის.

წერილი რედაქციის მიმართ

ნება გვიბოძეთ, თქვენის გაზეთის საშუალებით, უგულითადესი მადლობა გამოვუცხადოთ, როგორც მე, ისე ჩემს შაგირდებმა, შაშიანში მცხოვრებ დავით სვიმონისძეს ჩეკურიშვილს, რომელმაც ჩემ სკოლას შემოსწირა სამი მანეთი.

გამგე ურიათუბნის სამრევლო სკოლისა, მღვდელი იროდიონ ჩეკურიშვილი.

5 დეკემბერი
1892 წელს.

ნაზოლარი

სინეკურა

დასწყევლოს ღმერთმა ბ-ნ ნიკოლაძის ეშმაკი,—საიდგან რას გამოატყვრენს! აბა რა მოსაზრებული იყო ე რაღაც სინეკურაა, თუ ჯანაბა?

საითაც ეხლა წახვალ, სულ სინეკურას გაიძახიან, როგორც ამას წინად „ხორველას“. ხორველა წავიდა, სინეკურა მოხრძანდაო. ხორველას კიდევ ჯანი გაგარდნიყო, და ეს სინეკურა უარესი რამ ყოფილა. ექიმებსაც-კი ფერი უცვალა, სადაც შეეფეთებიან, „ბრრრ!“—ჩამომეცალეთო, და ისინიც ფაცა-ფუცით აქედ-იქით კედლებს აწყდებიან.

ერთი ხსენებაც-კი ექიმს აყრუებს, აცახცახებს, როგორც ეშმაკს ჯვარი, ურიას—ღორი, სომეხს — კურდღელი, „ფრანცუზს“—ბისმარკი, ნემეცს—რუსი, და ქართველს... ფული ჯიბეში.

კაი ექიმების ბრალიც ამას იქით! აქამდინაც ხეირი არ ეყარათ, ვინც არა მგონია იმათ ლანძღავდა და სწყევლიდა: ნეტაი არც-კი მენახა მაგათი სახე და ექიმის სახელიც არ გამეგონაო: წამალი წამლად წავიდა, ჯიბე გამომიფხიკეს, საყვარელი ქმარიც საიქიოს გაისტუმრესო; აი, ჩემის ცოდით ბანქობანაშიაც ნუ გაუსარნიათო!“ ამას იქით ხომ უარესი დღე დაადგებათ. მგონი მასკარადშიაც აღარ გაატარონ. როცა ექიმი დილა-საღამოს „ვიზიტებით“ თავს მოგაბეზრებს, „სინეკურა-თქო!“ დაუჩურჩულე, და ცხრა-მთას იქით გადიკარგება. ეს-კი, მე და ჩემმა ღმერთმა, ცუდი რამ გვასწავლა ბ-ნმა ნიკოლაძემ.

ხომ მოგეხსენებათ, ერთმა სინეკურას ხსენებამ ოცამდე ექიმი იფრინა საქალაქო სამკურნალოდგან.

ნეტა ვიცოდეთ, სასინეკურო რა დაუშავეს ამ უბედურებმა?

დილის ცხრა საათიდგან მოკიდებული ნაშუადღევ პირველ საათამდე ყველა ექიმი თავის ადგილას იჯდა თურმე და რეცეპტებსა სწერდა. მას უკან... ვის რა ეკითხება, მასუკან სად დადიოდა, რას ჰფიქრობდა და რას აკეთებდა. განა არ იცით ბრძნული ანდაზა, კანცელიარიებში ჭეშმარიტებად ცნობილი: Дѣла не дѣлай, но отъ дѣла не бѣгай!—საქმეს ნუ გააკეთებ, მაგრამ ნურც მოშორდებიო! სამკურნალოს ექიმებიც თავიანთ ადგილიდგან ფეხს არ იცვლიდნენ, ვიდრე ქალაქის საათი ერთს არ ჩამოჰკრავდა. ამაზე მეტი მსნეობა გნებავდათ?

მართალია, არავინ იცის პირველ საათამდე დაწერილს რეცეპტს რა მოჰქონდა, სიცოცხლე, თუ სიკვდილი. მაგრამ ეს არც საცოდნელია: კვდარი ვერ წამოდგება და ვერ უსაყვედურებს, ცოცხალიც... მოგეხსენებათ ქვეყნის უმადურობა, განა ეხლა მადლობას ათქმევინებ ვისმე?

ისიც მართალია, რომ სამკურნალოს ექიმები, ცოტა არ იყოს, ცივად ეკიდებოდნენ ავადმყოფებს; ეს მე თვითონაც შემიმჩნევია და თვით ბ-ნ ნასინეკურალის რეცეპტი იქვე სამკურნალოს დარბაზში დამიფხრეწია. მაგრამ ექიმი გასამტყუნარი არ არის. განა ქალაქის ექიმს შეუძლიან ყველა ავადმყოფი გულ-მოდგინედ გასინჯოს? რამდენი საწყალი მიაწყდება ქალაქის სამკურნალოს და ექიმი რომ ყველას გულ-ღვიძლის გაჩხრეკას მოუყვეს, პირველ საათზედ-კი არა, ოთხზედაც ველარ გამოაღწევს სამკურნალოდამ. მერე რავდენს მსუქან ავადმყოფს და „ვიზიტებს“ მოსცდება! ამის ნაცვლად რა უნდა მისცეს თქვენმა სამკურნელომ?

ხომ არა გნებავთ, რომ ქალაქის ექიმი, აქაო და რაღაც გროშებს, ვითომ და ჯამაგირს იღებს თქვენგან, დღე-დაღამ თავი ისეთქოს და სულ თქვენს ავადმყოფების ფიქრში და დარდში იყოს: აჰა, რა უშველის, რა უფრო მოუხდებაო? კარგია, თქვენმა მზემ! განა იმისთვის ისწავლა და კაცად იქცა, რომ თავისი მალ-ღონე თქვენ შემოგალიოთ!? ღმერთს მადლობა შესწირეთ, რომ განათლებული კაცი თქვენგან ჯამაგირის მიღებას არა თაკილობს და დღეში სამ-ოთხს საათს დაკონკილ-დაბრანძულ ხალხს მისჩერებია.

ჰო, კარგი, ვსთქვათ, ჯამაგირის კაცი მოჯამაგირედ მიგაჩნიათ და ყურებზედ ხახვის დაჭრაც შეგიძლიანთ. ამ უჯამაგირო ხალხს რაღას ერჩით: „არც არას მომცემ და ყბასაც მომტეხ“? ეს ხომ მეტის-მეტია.

მართალია, უჯამაგირო ექიმი იმ აკონკილ-აბრანძულის ხალხის შრომით არის აღზრდილი და განსწავლებული, რომელიც ეხლა ერთის რეცეპტის დაწერას ემუდარება; ექიმს ვალი აწევს ამ ხალხისა. მაგრამ ვალი ვის არა აქვს? თუ მე და შენ, მკითხველო, ვალი გვაქვს, მე ვიცი, ღამე დარდით ძილი არ გვეპარება, ხვალ რომ მოვალე კარს მოგვადგეს, რითი დავუსხლტეთო! ჩვენს დროს „ვალს სულელი-ღა იხდისო“, გამაგონია, და რადა გგონიათ, რომ ექიმი ამისთანა სულელი იყოს?

ისიც მართალია, რომ ეხლანდელს დროში უჯამაგიროდ შრომას არავინ იკისრებს. ახალგაზდა ექიმიც, რომელსაც ჯერ არავინ იცნობს, ქალაქის სამკურნალოს იმისთვის მიეკედლება ხოლმე, რომ სახელი გავაკეთოვო; იცის, რომ უფასოდ ერთს ავადმყოფსაც არავინ ანდობს. მაგრამ იმის ყადრიც უნდა იცოდეთ და! იმას თუ უჭირს, თქვენ უფრო გიჭირთ და დღეს თქვენი ბატონი ის არის; ბატონს-კი, მეტადრე თუ ცოტად მაინც კისერი მოიმსხვილა, სინეკურების გაგონება არ იამება.—

მაინც ე „სინეკურა“ რა არისო?—მეკითხებიან აქედ-იქიდგან.

არ ვიცი, თქვენმა მზემ! სხვებმაც ბევრი თავი ისეთქს, მაგრამ ვერა გაიგეს-რა, ვერც თავი უპოვნეს, ვერც ბოლო. მე-კი ჩემის მოკლე ჭკუით ესე მოვიაზრე.

რამდენიმე კაცი ერთად რამე უმართობულო საქმეს რო ჩაიდენს, მათგან ერთი მაინც იტყვის: „ჰა, ნუ რა გრჯითრა, ჩვენში დარჩესო“. ან რცხვენიანთ და ან ეშინიანთ.

სამკურნალოს ექიმებმა-კი გარდასწყვიტეს: საწყალს ხალხს ნულარ ვუექიმებთ და ეს ჩვენი შეთქმულობა გაზეთს „ვრაჩში“ გამოვაცხადოთო!

სწორედ ეს უნდა იყოს სინეკურა!
ხომ მიხვდით?

ფ.

გასართობი

„მეგობრობა“

(კომედია სამს მოქმედებად)

მოქმედება პირველი

გულკეთილაძე (მარტო). დიაღ, ამ ქვეყნად მეგობრობისთანა კარგი არა არის რა. რათაც უნდა ჰღირს, როცა კარგი მეგობარი გყავს! აი თუ გინდ მე და იმედაძე! სულს არ დავიშურებთ ერთმანეთისთვის, ისე გვიყვარს ერთმანეთი!..

მოქმედება მეორე.

გულკეთილაძე. ოჰ, მეგობარო!.. რასა იქ?.. როგორა ხარ!.. მოდი, დაჯექი... „ვილაპარაკოთ“...

იმედაძე. დაიცა, ძმავ, და დროს ლაპარაკია!.. ისეთს გაჭირვებაში ვარ, რომ არ ვიცი, ღმერთმანი, რომელ წყალში გადავარდე... განგებ მოვედი შენთან... ვიცი ფული გაქვს და, თუ ძმა ხარ, ხუთი თუმანი მასესხე, უეჭველად ხვალვე დაგიბრუნებ...

გულკეთილაძე. ჰმ... უკაცრავად, ძმაო... რა ვქნა, გროშიც არა მაქვს... აი ზეგ იქნება მქონდეს...

მოქმედება მესამე

გულკეთილაძე (მარტო). რა შვილია?!. ხუთი თუმანი ასესხე!.. ასესხე და უცადე, როდის დაგიბრუნებს!.. გიცნობთ, შვილოსა, რა ბიჭებიცა ბრძანდებით!..

???

პეტერბურგის ბირჟა, 11 დეკემბ.

	მყიდვე-ლისა.	გამყი-დველისა.	გაყიდუ-ლისა.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო .	$7_{,96}$	$8_{,00}$	— ,,
ტამოჟნის კუპონები .	$159^{1}/_{4}$	160	— ,,
მანეთიანი ვერცხლის ფული	$1_{,08}$	$1_{,10}$	— ,,
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	— ,,	— ,,	$241^{1}/_{2}$
—მეორისა	— ,,	— ,,	$221^{1}/_{2}$
სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . .	— ,,	— ,,	— ,,
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა:			
6%.	$102^{1}/_{4}$	— ,,	— ,,
5%.	100	— ,,	— ,,
ქუთაისის ბანკისა 6%.	$102^{1}/_{4}$	— ,,	— ,,
5%.	100	— ,,	— ,,
5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა	$98^{1}/_{2}$	— ,,	— ,,

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე, მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. სამშაბათობით: დღისით 4 საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პარასკეობით: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

ფოთიდგან გადის:

პარასკეობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაზღლოდაც.

ნიხრი

1892 წ. 1 დეკემბრიდგან ახალ განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. 5 კ.
წითელი „ 1-ის ხარისხ. „ 4 „
„ „ 2 „ „ „ $3^{1}/_{2}$
„ „ 3 „ „ „ 3 „
თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ 5 კ.
„ „ „ 2 „ 4 „
„ „ „ 3 „ $3^{1}/_{2}$

ჯვარის მამის პურის ლავაში.

1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. 7 კ.
მე-2 „ „ „ „ 5 „
მე-3 „ „ „ „ 4 „
ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა 7 კ.
სუკი — — — 12 „
ცხვრის ხორცი — — 7 „

განცხადებანი

„წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ მაღაზიაში (Каравань-сарай Дворянскаго Земельнаго Банка № 125) ისყიდება ვ. გუნიას მიერ შედგენილი სურათებიანი

საქართველოს
კალენდარი
1893 წლისა
ფასი 45 კაპ.
(5—2)

ექიმხანა,
რომელიც ბარიატინსკის ქუჩაზედ იმყოფებოდა, გადავიდა მიხეილის ქუჩაზედ, ფინკის საკანდიტერო მაღაზიის პირდაპირ.

კბილის ექიმი
ა. ი. ორბელი
სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 8-დგან 12 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
კვირა-უქმე დღეებში
დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—148)

„წერა-კითხვის საზოგადოების“
წიგნის მაღაზიამ
მიიღო გასასყიდად შემდეგი წიგნები

	მან.	კაპ.
ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი	„	40
ქართული კედლის კალენდარი 1892 წ. . . .	„	20
თხზულებანი ალ. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი I, II და III ტომი თითო ტომი. .	1	40
იგივე მშვენიერს ქაღალდზედ და მშვენიერის ყდით, თითო ტომი ცალკე	2	50
სამივე ტომი. . . .	7	„
სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა	1	80
თხზულებანი ი. დავითაშვილისა	„	80
მარაბდა, პოემა ან. ფურცელაძისა	„	20
წყალობა, პოემა მისივე .	„	20
სურამის ციხე, მოთხრობა ჭონქაძისა	„	25
თამარ, სპარსული ლეგენდა	„	10
დემონი ლერმონტოვისა, თარგმანი მამია გურიელისა.	„	15
ცდო I, II და III ნაწილი. თითო ნაწ. ცალკე. .	„	50
სხვერპლი, მოთხრობა დ. კარიჭაშვილისა .	„	30
ნაქვთები მოთხრობანი დ. ერისთავისა	„	50
თორნიკე ერისთავი, ისტორიული პოემა აკაკისა	1	„
კიკოლას ნაამბობი, პოემა მისივე	„	20
პატარა-კახი, ისტორიული დრამა ლექსად მისივე .	„	50
საყმაწვილო ამბები მისივე	„	40
ძმური სიტყვა, დ. მაჩხანელისა, მეორე გამოცემა.	„	25
რამდენიმე მოთხრობა რაფფისა, ავტორის სურათით და მოკლე ბიოგრაფიით.	„	25

გამოცდილი რეპეტიტორი
ამზადებს
პირველ დაწყებით სასწავლებლისა და პროგიმნაზიის ყველა კლასის შეგირდებს
დილის 8—10 საათამდე და ნაშუადღევის 3—8 საათამდე.
ადრესი: „ივერიის“ რედაქციაში.

Доз. ценз. Тифлисъ, 12-го Декабря 1892 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.